საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის

03011487279321 1

KA030114872793211

ბრძანება №–8

ქ. თბილისი **30 / სექტემბერი / 2011 წ.**

შპს “მშენებელი”-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის მე-4 პუნქტისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ’’ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ’’ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს “მშენებელი”-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა - გაჯის წარმოებაზე (ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, რკინიგზის სადგური “ველი” II ტრესტის სამშენებლო სამმართველოს მიმდებარედ, ნაკვეთი 010/002).

2. ნებართვის მოქმედების ვადა - უვადო;

3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;

4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს “მშენებელი”-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: შპს “მშენებელი”-ს 14.09.2011წ №1690 წერილი; ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№24; 28.09.2011წ) და ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა მამაცაშვილი